

ცნობები სს “თელასის” აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება “თელასი” გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი №4 შედგენილ იქნა 2010 წლის 29 ივნისს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3
ჩატარების თარიღი:	2010 წლის 29 ივნისი
ჩატარების დრო:	14 საათი 30 წუთი
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,531%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

1. 2009 წ. წლიური ანგარიშის, წლიური ბუღალტრული ანგარიშგების, მათ შორის კომპანიის მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის დამტკიცება.
2. საზოგადოების 2009 წლის მოგების (ზარალის) განაწილება.
3. დივიდენდების გადახდა 2009 წლის შედეგების მიხედვით.
4. 2010 წლისთვის საზოგადოების აუდიტორის არჩევა და მისი მომსახურების საზღაურის რაოდენობის განსაზღვრა.
5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა.
6. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

1. „დამტკიცდეს საზოგადოების 2009 წლის საქმიანობის წლიური ანგარიში, წლიური ბუღალტრული ანგარიშგება, მათ შორის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიში (დანართი №1)“;

2. „2009 წლის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განცდილი ზარალის გათვალისწინებით, არ განხორციელდეს 2009 წლის შედეგების მიხედვით სს „თელასი“-ს მოგების განაწილება.“

3. „2009 წელს სს “თელასის” მუშაობის შედეგების მიხედვით დივიდენდები არ გაიცეს “

4.

4.1. კომპანია «Ernst&Young LLC» დამტკიცებულ იქნეს ორგანიზაციად, რომელიც 2010 წელს განხორციელებს სს “თელასის” აუდიტს.

4.2. აუდიტორის ანაზღაურება განისაზღვროს არა უმეტეს 71 500 (სამოცდათერთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარისა, დღგ-ს და ზედღებული ხარჯების გარეშე.

4.3. სს “თელასის” გენერალურმა დირექტორმა (ი. პიმონოვი) აუდიტორის დამტკიცებასთან დაკავშირებით კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის

ვადამი, დადოს ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციასთან.“

5. „ვადამდე შუწყდეს უფლებამოსილება სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ალექსანდრე ევგენის ძე ვაგნერს.“

6. „საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნას სერგეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოგუზოვი“.

კენჭისყრის შედეგები:

დღის წესრიგის ყველა საკითხის მიხედვით: “მომხრე”, ერთხმად, კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციათა (100,0%).